გაკვეთილი #3: პროფესია და შემოსავალი

55 წთ

ამ გაკვეთიდზე ამ გაკვეთიდზე მოსწავლეები ისაუბრებენ სხვადასხვა პროფესიის შესახებ და განიხილავენ შემოსავლის მიღების გზებს.

გაკვეთილის მიზნები

- მოსწავლეები დაფიქრდებიან, რომ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ჰქმნიან;
- მოსწავლეები მსჯელობენ ამა თუ იმ პროფესიის მახასიათებლებზე;
- მოსწავლეები ეცნობიან შემოსავლის მიღების სხვადასხვა წყაროს და შემოსავლების სახეებს.

საჭირო მასალები

- დანართი - პროფესიები
- დანართი - პროფესიების ბარათები (სურვილისამებრ)
- წებოვანი ფურცლები
- სკოჩი
- ყუთი
- დანართი - შემოსავლებისა და ხარჯების ბარათები

მომზადება

- ამობეჭდეთ დანართი - პროფესიები თითოეული მოსწავლისთვის;
- პატარა წებოვან ფურცლებზე დააწერეთ პროფესიების დასახელება (თითო ფურცელზე - თითო პროფესია, მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად) ან ამობეჭდეთ დანართი - პროფესიების ბარათები და გამოჭერით ბარათები;
- ამობეჭდეთ დანართი - შემოსავლებისა და ხარჯების ბარათები 2-3 ჯგუფისთვის და გამოჭერით.

10 წთ

დისკუსია - პროდუქტი და მომსახურება

მასალა:
არა

- შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ყოველდღიურად ისინი ბევრ სხვადასხვა პროდუქტსა თუ მომსახურებას მოიხმარნენ და ამაში ფულს იხდიან. დაუსვით ამისთვის კითხვები და შეეცადეთ, თითოეულ კითხვაზე რამდენიმე მოსწავლისგან მიიღოთ სწრაფი პასუხი, მაგალითად: რა პროდუქტი (ანუ საქონელი, ნივთი) იყიდეთ ბოლოს? შოკოლადი, წიგნი, ტანსაცმელი და ა.შ. რა მომსახურება დაგჭირდათ? თმის შეჭრა, ცურვის გაკვეთილი და ა.შ. აუხსენით განსხვავება პროდუქტსა (საქონელსა) და მომსახურებას შორის.
- ამის შემდეგ კი დაუსვით კითხვები: ვინ ამზადებს ამ პროდუქტს? ვინ გვიწევს ამ მომსახურებას? მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი პროფესიები. შემდეგ კი ჰკითხეთ, რა არის პროფესია? რა არის სამსახური?

დამატებითი ინფორმაცია:

ადამიანებს უამრავი რამ გვჭირდება ან გვინდა. ამისთვის ჩვენ სხვადასხვა პროდუქტს ან მომსახურებას ვყიდულობთ და ვიხდით ფულს.

პროდუქტი ანუ საქონელი არის ყველაფერი ის, რითიც ჩვენს საჭიროებებს ვიკმაყოფილებთ. პროდუქტი ხელშესახებია. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ შეეხოთ, დაინახოთ, მიირთვათ, დალიოთ ან ითამაშოთ პროდუქტით. **მომსახურება** კი არის ის, რასაც სხვა ადამიანები აკეთებენ ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, მაკრატელი პროდუქტია, თმის შეჭრა კი - მომსახურება. დაბადების დღის ტორტი - პროდუქტია, ანიმატორის მიერ დაბადების დღის წვეულების წაყვანა კი - მომსახურება და ა.შ.

ამ მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებას სხვადასხვა **პროფესიის** ადამიანები ქმნიან. მაგალითად, შოკოლადის საწარმოში ამზადებენ შოკოლადს, რომელსაც შემდეგ მაღაზია ჰყიდის, მწერალი წერს წიგნს, რომელსაც გამომცემლობა ბეჭდავს, სტილისტი გჭრით თმას, ინსტრუქტორი გასწავლით ცურვას და ა.შ. შეუძლებელია, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვყიდულობთ და მოვიხმართ, ჩვენ თვითონვე შევქმნათ. ამიტომ თითოეული ადამიანი ასრულებს იმ სამუშაოს, ქმნის იმას, რაც საუკეთესოდ გამოსდის და რაც მოსწონს, ამაში იღებს ფულს და შემდეგ ამ ფულით სხვა ადამიანებისგან ყიდულობს იმას, რაც სჭირდება.

პროფესია გვჭირდება იმისთვის, რომ დავსაქმდეთ ან ჩვენი ბიზნესი დავიწყოთ და ფული გამოვიმუშაოთ. გამომუშავებული ფული - ჩვენი შემოსავალია. ფულით კი, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს საჭიროებებსა და სურვილებს ვიკმაყოფილებთ.

პროფესია ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ერთობლიობაა, რომლის ფლობაც აუცილებელია რაიმე სამუშაოს შესასრულებლად და რომელსაც ადამიანი ითვისებს სწავლის შედეგად.

სამსახური კი არის კონკრეტული საქმე, მოვალეობა, რომელსაც ადამიანი აკეთებს ფულის გამოსამუშავებლად და ამისთვის იყენებს თავის უნარებს, დროსა და ენერგიას.

მეწარმე, ანტრეპრენერი არის ადამიანი, რომელიც ქმნის და მართავს საკუთარ ბიზნესს. ადამიანები, რომლებსაც აქვთ წარმატებული ბიზნესი, გამოიმუშავებენ მოგებას, რომელიც არის შემოსავლის წყარო.

პროფესიას ვირჩევთ იმის მიხედვით, თუ რისი კეთება მოგვწონს და გვსიამოვნებს, რა გამოგვდის კარგად, ასევე, რა თანხას გამოვიმუშავებთ ამა თუ იმ პროფესიით. რადგან სხვადასხვა პროფესიას სხვადასხვა შემოსავალი აქვს.

ყველა ადამიანს განსხვავებული ინტერესები, მისწრაფებები და ღირებულებები აქვს, ამიტომ პროფესიებიც მრავალფეროვანია.

25 წთ

თამაში - ვინ ვარ მე?

მასალა:

დანართი - პროფესიები,

წებოვანი ფურცლები,

სკოჩი, ყუთი

დანართი - პროფესიების ბარათები (სურვილისამებრ)

- ამობეჭდეთ დანართი „პროფესიები“ თითოეული მოსწავლისთვის.
- წინასწარ დააწერეთ პატარა წებოვან ფურცლებზე სხვადასხვა პროფესიის სახელწოდება (შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ დანართით) და მოათავსეთ ყუთში (წარწერით ქვემოთ).
- *ან, ფუჩცღებზე დაწეჩის ნაცვღად, ამობეჭდეთ დანაჩთი - პჩოფესიების ბაჩათები და გამოჭეჩით ბაჩათები და მოათავსეთ ყუთში (წაჩწეჩით ქვემოთ).*
- პროფესიების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, მოსწავლეებს შესთავაზეთ ცნობილი თამაშის „ვინ ვარ მე“ ვარიაცია პროფესიებზე. დასხით მოსწავლეები წრეზე და თითოეულს დაურიგეთ დანართი - პროფესიები. მოსწავლეებს შეუძლიათ თამაშის განმავლობაში ჩაიხედონ დანართში და გაეცნონ ამა თუ იმ პროფესიის მახასიათებლებს.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, ამოიღონ ყუთიდან თითო ფურცელი ისე, რომ არ დაინახონ წარწერა და მიიკრან შუბლზე (წარწერით წინ). თითოეული მოსწავლე უნდა ხედავდეს დანარჩენების პროფესიას, ხოლო თავისას - ვერა. მოსწავლის მიზანია გამოიცნოს, რომელი პროფესიის არის თვითონ. ამისთვის, ის სვამს დახურულ შეკითხვებს (ანუ, ისეთ შეკითხვას, რომელზე პასუხიც შეიძლება იყოს „კი“ ან „არა“), ხოლო დანარჩენები პასუხობენ.
- თამაში მიმდინარეობს შემდეგნაირად: ერთი მოსწავლე სვამს დახურულ შეკითხვას, მაგალითად, მომსახურების სფეროში ვმუშაობ? თუ პასუხია კი, იგივე მოსწავლეს შეუძლია დასვას სხვა შეკითხვა, მაგალითად, მაქვს შეხება ფულთან? თუ ამ შეკითხვაზეც პასუხია კი, მოსწავლე აგრძელებს შეკითხვების დასმას მანამ, სანამ: ა) არ გამოიცნობს თავის პროფესიას ან ბ) მის შეკითხვაზე პასუხი იქნება არა. ამის შემდეგ უკვე შემდეგი მოსწავლე იწყებს კითხვების დასმას. და ა.შ. საათის ისრის მიმართულებით, სანამ ყველა მოსწავლეს არ ექნება შანსი შეკითხვების დასმის და თავისი პროფესიის გამოცნობის.
- იმისთვის, თამაში სწრაფად წავიდეს, შეგიძლიათ გააკეთოთ ერთი საცდელი რაუნდი, შემდეგ კი მოსწავლეები დაჰყოთ უფრო პატარა ჯგუფებად და ჯგუფებში გააგრძელონ თამაში.

- თამაში დაასრულეთ შემდეგი კითხვებით, მაგალითად: იცოდი იმ პროფესიის შესახებ, რაც შეგხვდა? იცნობ ამ პროფესიის ადამიანს? რას აკეთებს ეს ადამიანი?

15 წთ

ჯგუფური სავარჯიშო - შემოსავლის მიღების გზები

მასალა:

დანართი - შემოსავლებისა და ხარჯების ბარათები

- წინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით დანართი - შემოსავლებისა და ხარჯების ბარათები - მოსწავლეთა 2 ან 3 ჯგუფისთვის.

- დაუსვით მოსწავლებს შემდეგი კითხვები: რა არის შემოსავალი? როგორ შეიძლება მივიღოთ შემოსავალი? რა შემოსავალი შეიძლება ჰქონდეთ ბავშვებს? ეცადეთ, ერთ კითხვაზე რამდენიმე მოსწავლისგან მიიღოთ სწრაფი პასუხები. მოსწავლეებისგან მიღებული პასუხები თქვენ შეაჯამეთ და საჭიროების შემთხვევაში განავრცეთ. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ფული შეზღუდული რაოდენობითაა და ის შრომით გამოიმუშავება.

- ამის შემდეგ, მოსწავლეები დაყავით 2 ან 3 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ წინასწარ მომზადებული შემოსავლებისა და ხარჯების ბარათები არეულად. ჯგუფების მიზანია, მოცემული ბარათებიდან გამოიცნონ, რომელი არის შემოსავალი და ცალკე გადმოაწყონ. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც პირველი და სწორად იპოვის ყველა შემოსავლის ბარათს.

- სავარჯიშო შეაჯამეთ შემდეგი კითხვებით: ამ ბარათებიდან, რომელი არის მეწარმეობით მიღებული შემოსავალი? (მოგება ბიზნესიდან) რომელი არის აქტივის ფლობით მიღებული შემოსავალი? (ბინის გაქირავება, დეპოზიტის პროცენტი).

დამატებითი ინფორმაცია:

ფულს გამომუშავება სჭირდება, ის შრომით გამოიმუშავება და შეზღუდული რაოდენობითაა.

პროფესიას ვირჩევთ და სამსახურს ვიწყებთ იმიტომ, რომ გამოვიმუშავოთ ფული, რაც შემდეგ ჩვენი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის გვჭირდება. სხვადასხვა პროფესიას სხვადასხვა ანაზღაურება აქვს. ფული ასევე შეიძლება გამოვიმუშავოთ საკუთარი ბიზნესიდანაც. ფული შეიძლება გამოვიმუშავოთ რაიმე **აქტივის** ქონით. მაგალითად, თუ გვაქვს ბინა, რომელიც ჩვენი აქტივია, შეგვიძლია ის გავაქირავოთ და მივიღოთ ფული. ყველა ამ გამომუშავებულ ფულს შემოსავალი ეწოდება.

ბავშვებსაც შეუძლიათ გამოიმუშავონ ფული. ეს შეიძლება იყოს სახლში დამატებითი სამუშაოს შესრულებით გამომუშავებული ფული. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ბავშვებმა რაღაც საქმეები ისედაც უნდა შეასრულონ, როგორც ოჯახის წევრებმა - მაგალითად, საკუთარი ოთახის, სათამაშოების დალაგება და ა.შ.

ბავშვების შემთხვევაში, შემოსავალი ასევე შეიძლება იყოს მიღებული ჯიბის ფული, ნაჩუქარი ფული, კარგად სწავლისთვის მიღებული ფული - მაგალითად, ჯილდო ან სტიპენდია და ა.შ.

5 წთ

შეჯამება

მასალა:

არა

- მოუხმეთ მოსწავლეებს წრეზე და დაუსვით შემდეგი შეკითხვები:
- იმის გათვალიწინებით, რაც დღეს გაიგეთ პროფესიებზე - შენ რა გინდა აკეთო, როცა გაიზრდები? როგორ უნდა მოემზადო ამ სამსახურისთვის, მაგალითად, რა უნდა ისწავლო? რა უნარები უნდა გამოიმუშაო? რა გამოგდის კარგად? რისი კეთება გიყვარს? გინდა თუ არა შენი ბიზნესი გქონდეს? ახსენი, რატომ?